

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
5. საწარმოთა გაერთიანება	18
6. როიალტის ხარჯი	18
7. სხვა ხარჯები.....	19
8. ფინანსური ხარჯი, წმინდა	19
9. ძირითადი საშუალებები	20
10. არამატერიალური აქტივები.....	21
11. გაცემული სესხები	21
12. მარაგები.....	22
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
15. მიღებული სესხები	22
16. გადავადებული შემოსავალი.....	23
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
19. პირობითი ვალდებულებები	25
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	27

მმართველობის ანგარიშგება.....	29
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ დამფუძნებლებს და სამეთვალყურეო საბჭოს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ არ ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია. შედეგად, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე და მდგომარეობაზე, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 5,170,679 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან - სს „ვენჯორჯია“ შეიძინა ბიზნესი (აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფი). შეძენილი ბიზნესის შედეგად გადმოცემული აქტივების ნაწილი (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეაფასა და აღრიცხა რეალური ღირებულებით ნაცვლად საბალანსო ღირებულებისა, რაც ეწინააღმდეგება კომპანიის მიერ დაკავშირებული მხარეების საწარმოების შეძენის აღსარიცხად გამოყენებულ პოლიტიკას (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2). შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გაზრდილია 5,128,788 ლარით (31.12.2023: 5,278,093 ლარი), ხოლო არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება 213,237 ლარით (31.12.2023: 216,000 ლარი).

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს თავისი დაკავშირებული მხარეების მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული სესხის თანხა შეადგენს 20,835,370 ლარს (31.12.2023: 12,460,453 ლარი). თანამსესხებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოექმნება მატერიალური დანაკარგი, რასთან დაკავშირებითაც ხელმძღვანელობისგან ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. შედეგად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ,

საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ანარიცხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიამ არ ჩაატარა ძირითადი საშუალებების ნაწილის ინვენტარიზაცია, რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,481,547 ლარს. აღნიშნული ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია „აღჭურვილობა და ინვენტარის“ ჯგუფში. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტის პროცედურების ჩატარებით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ძირითადი საშუალებების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ძირითადი საშუალებებისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების კორექტირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე 5,139,245 ლარის ოდენობით, რომლის ამოღებადობა და გაუფასურება არ შეუფასებია მის ფასს სტანდარტის მე-11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“-ს მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა გაცემული სესხებისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში;

გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

8 ოქტომბერი 2025 წელი

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		79,093,196	35,085,270
სხვა შემოსავალი		38,776	18,436
მარაგის ხარჯი		(33,703,646)	(16,749,378)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,412,870)	(7,230,111)
იჯარის ხარჯები		(6,153,122)	(3,151,063)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,434,030)	(1,592,347)
როიალტის ხარჯი	6	(3,248,579)	(1,379,199)
სხვა ხარჯები	7	(12,552,097)	(5,033,010)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		7,627,628	(31,402)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(4,377,416)	(1,549,122)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(274,955)	(288,844)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,975,257	(1,869,368)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ხარჯი)		2,975,257	(1,869,368)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 8 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჩუბინიძე

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		79,093,196	35,085,270
სხვა შემოსავალი		38,776	18,436
მარაგის ხარჯი		(33,703,646)	(16,749,378)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,412,870)	(7,230,111)
იჯარის ხარჯები		(6,153,122)	(3,151,063)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,434,030)	(1,592,347)
როიალტის ხარჯი	6.	(3,248,579)	(1,379,199)
სხვა ხარჯები	7	(12,552,097)	(5,033,010)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		7,627,628	(31,402)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(4,377,416)	(1,549,122)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(274,955)	(288,844)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,975,257	(1,869,368)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ხარჯი)		2,975,257	(1,869,368)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 8 ოქტომბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჭუბინიძე

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	25,418,718	26,807,359
არამატერიალური აქტივები	10	1,500,067	1,562,916
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		367,859	47,318
გაცემული სესხები	11	5,960,365	177,378
		33,247,009	28,594,971
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	4,889,535	5,170,679
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,975,668	2,341,404
გაცემული სესხები	11	4,625,040	4,297,968
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	278,852	503,729
		12,769,095	12,313,780
სულ აქტივები		46,016,104	40,908,751
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		312	312
გაუნაწილებელი მოგება		3,684,417	601,351
სულ კაპიტალი		3,684,729	601,663
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	-	11,074,166
მიღებული სესხები	15	20,935,826	12,902,634
გადავადებული შემოსავალი	16	2,069,209	2,069,209
		23,005,035	26,046,009
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	15,214,326	6,005,887
საგადასახადო ვალდებულებები		804,903	891,056
მიღებული სესხები	15	3,307,111	7,364,136
		19,326,340	14,261,079
სულ ვალდებულებები		42,331,375	40,307,088
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,016,104	40,908,751

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
31.12.2022	312	(510,324)	(510,012)
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	2,981,043	2,981,043
მთლიანი სრული ხარჯი	-	(1,869,368)	(1,869,368)
31.12.2023	312	601,351	601,663
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	107,809	107,809
მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,975,257	2,975,257
31.12.2024	312	3,684,417	3,684,729

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,975,257	(1,869,368)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	2,434,030	1,592,347
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	4,377,416	1,549,122
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		274,955	288,844
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალებების გასვლიდან, წმინდა		158,446	(117,520)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		10,220,104	1,443,425
მარაგების შემცირება/(ზრდა)		281,144	(4,324,270)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,251,282)	(2,413,109)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(699,915)	1,577,643
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(86,153)	988,821
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები)		8,463,898	(2,727,490)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,062,454)	(2,574,099)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(52,370)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		458,572	477,116
სესხის გაცემა		(4,713,510)	(11,151,627)
გაცემული სესხის ძირის დაბრუნება		821,797	191,441
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,495,595)	(13,109,539)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		6,375,800	27,303,800
სესხის ძირის გადახდა		(8,193,499)	(11,493,503)
მიღებული სესხების პროცენტის გადახდა		(2,217,151)	(1,124,738)
(საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული)/ მიღებული ფულადი სახსრები		(4,034,850)	14,685,559
ფულადი სახსრების შემცირება, წმინდა		(66,547)	(1,151,470)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	503,729	1,697,280
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი		(158,330)	(42,081)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	278,852	503,729

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2020 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ბურგერებს, სასმელებს, დესერტს და სხვა. კომპანიის ამონაგების ძირითადი წყაროა აღნიშნული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი; გარდა ამისა, კომპანიის ამონაგები ასევე შედგება თანამშრომლებით მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავლისა და მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლისგან. კომპანია ოპერირებს ვენდის გლობალ რესტორნისგან (Wendy's Global Restaurants) მიღებული ფრანშიზის უფლებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე და ლევან ფხაკაძე, 50-50%-იანი წილებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405404076.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება/დაკავშირებული მხარისგან ბიზნესის შეძენა

მსს ფასს მე-19 განყოფილება „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ არ გამოიყენება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს სტანდარტის განყოფილება, რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს სააღრიცხვო პოლიტიკა აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის მსს ფასს მე-10 განყოფილების „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ 10.4 – 10.6 პუნქტის მიხედვით.

საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშავოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია იქნება:

- (ა) შესაბამისი მომხმარებელთათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებების; და
- (ბ) საიმედო, იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება: (i) სამართლიანად წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- (ii) გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა მათ სამართლებრივ ფორმას;
- (iii) იქნება ნეიტრალური, ე.ი. არ იქნება მიკერძოებული;
- (iv) წინდახედული; და

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

(v) სრული ყველა არსებით ასპექტში.

10.4 პუნქტში აღნიშნული მსჯელობის დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს შემდეგ წყაროებს და გაითვალისწინოს მათი გამოყენების შესაძლებლობა შემდეგი თანმიმდევრობით:

(ა) წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და

(ბ) აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები, შეფასების კონცეფციები და სხვა ძირითადი პრინციპები, რომლებიც განხილულია მე-2 განყოფილებაში - „კონცეფციები და ძირითადი პრინციპები“.

10.4 პუნქტში აღწერილი მსჯელობის დროს ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია ფასს სტანდარტების სრული ვერსიის მოთხოვნებისა და მითითებების გათვალისწინება, რომლებიც ეხება მსგავს და მონათესავე საკითხებს.

აღნიშნული ოპერაციების აღრიცხვისათვის, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანია იყენებს საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდს. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემძენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს გადმოცემული საწარმოს საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებით.

გადმოცემის დღის მდგომარეობით სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს კაპიტალის ცვლილებით: უნდა მოხდეს გაუნაწილებელი მოგების დაკორექტირება ან განცალკევებული რეზერვის შექმნა. ოპერაციის შედეგად არ ხდება გუდვილის აღიარება.

დაკავშირებული მხარეებისგან ბიზნესის შეძენის შემთხვევაშიც კომპანია ხელმძღვანელობს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის მსგავსი მიდგომით და შეძენილ აქტივებს/ვალდებულებებს აღრიცხავს საბალანსო ღირებულებით.

2023 წელს კომპანიას აქვს ბიზნესის შეძენა სს ვენჯორჯიასგან, რომლის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელებიც ანალოგიურად არიან სამსონ და ლევან ფხაკაძეები და თითოეული მათგანი ფლობს აქციების 50%-50%-ს. აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვის დროს ხელმძღვანელობამ გამოიყენა ანალოგიური მიდგომა და შეძენილი აქტივები/ვალდებულებები აღრიცხა საბალანსო ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აღიარებს და აფასებს ფასს მსს-ის სექცია 11-ისა და 12-ის მოთხოვნების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ მიწოდებული მომსახურების სანაცვლოდ მოსაპოვებელ თანხას. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნათა საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

თუ ასეთი მტკიცებულება იდენტიფიცირდება, გაუფასურების ზარალი აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სესხების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების შესაძლო ნიშნების გამოსავლენად.

ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, რომელიც მოიცავს გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. ისინი აღირიცხება საბალანსო ღირებულებით. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18-20
აღჭურვილობა და ინვენტარი	3-10
სატრანსპორტო საშუალება	5
არამატერიალური აქტივი	
პროგრამული უზრუნველყოფა	7
ფრანშიზის უფლება	20
რესტორნის დიზაინი	20

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ცვდება. ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო“ - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში, ღირებულებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდებში მიღებულ აკუმულირებულ შედეგს, ასევე კომპანიის დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულებებისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტს. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან ან/და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

საწარმო სახელმწიფო გრანტს აღიარებს შემდეგნაირად:

ა) გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, აღიარდება შემოსავალში მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება;

ბ) გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება; და

გ) თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

საწარმო გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვეთება შესაბამისი ხარჯებიდან.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით კომპანიას აღიარებული აქვს გადავადებული შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

როიალტის ხარჯი

ვენდის გლობალ რესტორანს ლიცენზიით სარგებლობის შედეგად წარმოქმნილი როიალტის ხარჯი აღიარდება წრფივი მეთოდით ლიცენზიის ვადის განმავლობაში. ხარჯის დაანგარიშება ხდება ფიქსირებული განაკვეთით, რომელიც დარეგულირებულია სალიცენზიო ხელშეკრულებით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს

თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

სახელმწიფო გრანტების აღიარება. სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

კომპანია გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას ჯერ არ შეუსრულებია გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობები, გრანტის თანხა აღირიცხება გადავადებული შემოსავლის სახით ვალდებულებებში მანამ, სანამ აღნიშნული პირობები არ დაკმაყოფილდება.

სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები არ აისახება გადავადებული შემოსავლის ნაშთში, არამედ პირდაპირ აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5. საწარმოთა გაერთიანება

2023 წელს დაკავშირებული მხარისგან ბიზნესის შეძენის ფარგლებში, კომპანიას სს „ვენჯორჯიასგან“ გადმოეცა აქტივები და ვალდებულებები ორ ეტაპად: სექტემბრისა და ოქტომბრის თვეში (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). გადმოცემული აქტივების ნაწილი კომპანიამ აღრიცხა რეალური ღირებულებით, ნაცვლად საბალანსო ღირებულებისა. ეს აქტივებია: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომელთა საბალანსო ღირებულება გადმოცემის მომენტისთვის შეადგენდა 11,289,021 და 917,439 ლარს, შესაბამისად. სხვა აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვა მოხდა საბალანსო ღირებულებებით.

აქტივები	2023
ძირითადი საშუალებები	16,567,114
არამატერიალური აქტივები	1,133,439
მარაგები	1,439,113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,598
სულ აქტივები	19,183,264
ვალდებულებები	
მიღებული სესხები	1,029,398
სავაჭრო ვალდებულება	826,318
სულ ვალდებულებები	1,855,716
წმინდა აქტივები	17,327,548

6. როიალტის ხარჯი

„ვენდის გლობალ რესტორანსა“ (QUALITY IS OUR RECIPE, LLC) და შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“ შორის გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ხსნის რესტორნებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. აღნიშნული უფლებით სარგებლობისთვის, კომპანიის როიალტის ხარჯი 2024 წელს შეადგენს 3,248,579 ლარს (2023 წელი: 1,379,199 ლარი).

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. სხვა ხარჯები

	2024	2023
მიწოდების ხარჯები	(3,954,101)	(1,451,553)
კომუნალური ხარჯი	(2,652,983)	(992,213)
მარკეტინგული და რეკლამის ხარჯი	(2,171,199)	(811,548)
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	(958,505)	(456,870)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(786,385)	(411,270)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(690,948)	(300,903)
დაცვის ხარჯი	(288,223)	(80,888)
IT ხარჯი	(275,557)	(84,021)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(69,523)	(82,347)
სხვა ხარჯი	(704,673)	(361,397)
	(12,552,097)	(5,033,010)

8. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ფინანსური ინსტიტუტის სესხებზე	(3,868,523)	(1,170,666)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ გრძელვადიან ვალდებულებაზე	(1,110,942)	(450,045)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე	(190,667)	(31,082)
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარეების სესხებზე	792,716	102,671
	(4,377,416)	(1,549,122)

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	აღჭურვილობა და ინვენტარი	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალება	ჯამი
31.12.2022	1,057,990	2,532,195	2,977,790	3,328,271	26,144	-	9,922,390
შემოსვლა	-	15,187	451,085	2,359,508	-	-	2,825,780
საწარმოთა გაერთიანება (შენიშვნა 5)	8,677,692	3,200,569	1,238,999	3,076,803	-	373,051	16,567,114
გასვლა	-	-	-	(688,347)	-	-	(688,347)
რეკლასიფიკაცია	-	-	26,144	-	(26,144)	-	-
31.12.2023	9,735,682	5,747,951	4,694,018	8,076,235	-	373,051	28,626,937
შემოსვლა	-	-	106,664	1,559,019	-	-	1,665,683
გასვლა	-	-	-	(788,238)	-	-	(788,238)
31.12.2024	9,735,682	5,747,951	4,800,682	8,847,016	-	373,051	29,504,382
დაგროვილი ცვეთა	-	(53,404)	(30,677)	(224,947)	-	-	(309,028)
ცვეთა	-	(166,571)	(260,415)	(1,114,344)	-	(19,010)	(1,560,340)
გასვლა	-	-	-	49,790	-	-	49,790
31.12.2023	-	(219,975)	(291,092)	(1,289,501)	-	(19,010)	(1,819,578)
ცვეთა	-	(285,887)	(236,067)	(1,773,533)	-	(75,694)	(2,371,181)
გასვლა	-	-	-	105,095	-	-	105,095
31.12.2024	-	(505,862)	(527,159)	(2,957,939)	-	(94,704)	(4,085,664)
საბალანსო ღირებულება	9,735,682	5,527,976	4,402,926	6,786,734	-	354,041	26,807,359
31.12.2023	9,735,682	5,527,976	4,402,926	6,786,734	-	354,041	26,807,359
31.12.2024	9,735,682	5,242,089	4,273,523	5,889,077	-	278,347	25,418,718

კომპანიის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები. უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს მიწა და შენობა-ნაგებობები, ჯამური საბალანსო ღირებულებით 11,463,907 ლარი (2023 წელი: 11,723,681 ლარი). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-15 შენიშვნა.

(*) - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,057,561 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობები (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,108,343 ლარი) აშენებულია იჯარით/აღნაგობით აღებულ მიწის ნაკვეთებზე. იჯარის/აღნაგობის სახელშეკრულებო ვადებია 20-30 წელი.

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ფრანშიზის უფლება	პროგრამული უზრუნველყოფა	რესტორნების დიზაინი	ჯამი
31.12.2022	390,569	27,759	-	418,328
საწარმოთა გაერთიანება (შენიშვნა 5)	677,426	-	456,013	1,133,439
შემოსვლა	52,370	-	-	52,370
31.12.2023	1,120,365	27,759	456,013	1,604,137
31.12.2024	1,120,365	27,759	456,013	1,604,137
დაგროვილი ამორტიზაცია				
31.12.2022	(3,238)	(5,976)	-	(9,214)
ამორტიზაცია	(23,394)	(3,966)	(4,647)	(32,007)
31.12.2023	(26,632)	(9,942)	(4,647)	(41,221)
ამორტიზაცია	(41,833)	(2,776)	(18,240)	(62,849)
31.12.2024	(68,465)	(12,718)	(22,887)	(104,070)
საბალანსო ღირებულება				
31.12.2023	1,093,733	17,817	451,366	1,562,916
31.12.2024	1,051,900	15,041	433,126	1,500,067

11. გაცემული სესხები

	გრძელვადიანი	
	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში	5,960,365	177,378
	მოკლევადიანი	
	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში	4,604,239	4,297,968
გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში	20,801	-
	10,585,405	4,475,346

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი გაცემული სესხები ძირითადად შედგება სს ვენჯორჯიას გაცემული მოკლევადიანი სესხისგან (4,297,968 ლარი), რომლის ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%-ს. 2024 წელს ხელშეკრულების ცვლილების შედეგად გაცემული სესხის დაფარვის ვადა გახანგრძლივდა 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

2024 წელს კომპანიას სამხმრივი შეთანხმებით სს ვენჯორჯიას მიმართ არსებული ვალდებულების ზრდის სანაცვლოდ გადმოეცა დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნები ჯამურად 1,775,255 ლარის ოდენობით. ასევე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებზე გასცა სესხები ჯამურად 4,703,000 ლარის ოდენობით. გრძელვადიანი სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 14.1%-ს და მათი დაფარვის თარიღი ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია, არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრით. გრძელვადიანი სესხების სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო, შედეგად გაცემული სესხები დადისკონტირდა ეფექტური საბაზრო 12.65% განაკვეთით. სესხების საწყისი აღიარების ეფექტმა დისკონტირების შედეგად შეადგინა 287,560 ლარი. აღნიშნული 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კაპიტალის მუხლში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი.

გაცემული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის უზრუნველყოფილი.

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და სხვა სარესტორნო მარაგი	3,778,114	4,063,937
რესტორნის აღჭურვილობა	1,058,100	883,952
სხვა	53,321	222,790
	4,889,535	5,170,679

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,449,527	1,196,929
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	66,125	278,961
არა-ფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	460,016	865,514
	2,975,668	2,341,404

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	157,826	143,479
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	119,777	360,250
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე დოლარში	1,249	-
	278,852	503,729

15. მიღებული სესხები

	გრძელვადიანი	
	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ინსტიტუტები		
ევრო	11,736,453	2,877,432
ლარი	7,708,177	7,316,165
დოლარი	-	2,709,037
დაკავშირებული მხარეები		
დოლარი	1,069,895	-
ლარი	421,301	-
	20,935,826	12,902,634
	მოკლევადიანი	
	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ინსტიტუტები		
ევრო	1,855,896	6,103,750
ლარი	1,451,215	852,739
დოლარი	-	407,647
	3,307,111	7,364,136

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლების მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია დაკავშირებული მხარეების შენობა-ნაგებობებით და მიწის ნაკვეთებით, არსებული და მომავალი მოძრავი ქონებით და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთითა და შენობა-ნაგებობით (დეტალეზაციის იხილეთ მე-9 შენიშვნა), საგარანტიო სქემის ფარგლებში სახელმწიფო გარანტიით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,607,417 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 5,999,684 ლარი).

ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე კომპანიას გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. დამატებითი ინფორმაცია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვების შესახებ მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია მონაწილეობს პროექტში - „აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც კომპანიას უფინანსდება ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის ნაწილი. დეტალური ინფორმაცია დაფინანსების შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

2024 წელს კომპანიას სს ვენჯორჯიას მიმართ არსებული ვალდებულების შემცირების სანაცვლოდ გადმოეცა დამფუძნებლებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებები ჯამურად 5,212,681 ლარის ოდენობით. დამფუძნებლებისგან მიღებული სესხების (1,861,106 ლარი) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7% და 18%-ს, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის (3,351,575 ლარი) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი - 8%-ს. დამფუძნებლებისგან მიღებული სესხების დაფარვის თარიღები ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრულია, არაუგვიანეს 2031 წლის 29 ივნისისა და 2029 წლის 1 მაისისა, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვის თარიღი - არაუგვიანეს 2040 წლის 1 იანვრისა.

ზემოთ აღნიშნული სესხების სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო. დამფუძნებლებისგან მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტმა, ეფექტური 8,54% საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების შედეგად შეადგინა 229,049 ლარი. სხვა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტმა, ეფექტური 8,56% საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების შედეგად შეადგინა 1,059,298 ლარი. აღნიშნული ეფექტები 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კაპიტალის მუხლში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი.

აღნიშნული მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის უზრუნველყოფილი.

16. გადავადებული შემოსავალი

კომპანია 2021 წლის 21 დეკემბრიდან მონაწილეობს პროექტში „აწარმოე საქართველოში“. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ.

პროგრამის ფარგლებში სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" კომპანიებს უფინანსებს წარმოების/მომსახურების გაწევისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების და საბრუნავი საშუალებებისთვის მიღებული სესხების პროცენტს, საქართველოს მთავრობის N365 დადგენილებაში განსაზღვრული პროპორციების შესაბამისად. კომპანია მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის.

გრანტის შემოსავლად აღიარება მოხდება სააგენტოს მიერ დაწესებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2024 და 2023 წლების მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სრულად დაკმაყოფილებული საგარანტიო სქემით მოთხოვნილი პირობები, შესაბამისად პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების თანხები აღიარებულია, როგორც გადავადებული შემოსავალი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2,069,209 ლარის ოდენობით.

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება*	9,273,067	11,074,166
სავაჭრო ვალდებულებები	5,372,878	5,355,414
თანამშრომლების მიმართ არსებული სახელფასო ვალდებულებები	327,754	292,153
გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	240,627	358,320
	15,214,326	17,080,053

(*) - საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება შეადგენს 2023 წელს დაკავშირებული მხარისგან (სს ვენჯორჯია) აქტივების შესყიდვის შედეგად (შენიშვნა 5 - საწარმოთა გაერთიანება) წარმოქმნილ ვალდებულებას. ეფექტური 13.27% საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირების შედეგად, ვალდებულების რეალური ღირებულებით საწყისი აღიარების ეფექტმა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,588,988 ლარი. აღნიშნული ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია გაუნაწილებელი მოგების კლასიფიკაციის ქვეშ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი. ვალდებულების საკონტრაქტო დაფარვის ვადაა 2025 წლის 31 დეკემბერი.

2024 წელს განხორციელდა აღნიშნული ვალდებულების მნიშვნელოვანი ცვლილება. კონკრეტულად, სხვა დაკავშირებული მხარეებისგან და დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები (5,318,164 ლარი), ასევე სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები (1,788,402 ლარი) გადმოეცა კომპანიას და ამ ოპერაციების წმინდა შედეგით შემცირდა სს ვენჯორჯიას მიმართ არსებული ვალდებულების ნაშთი. ცვლილება შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რის შედეგადაც ჩამოიწერა არსებული ფინანსური ვალდებულება და აღიარდა ახალი ფინანსური ინსტრუმენტი. ვალდებულების დისკონტირებისას გამოყენებულ იქნა 13.27%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. დისკონტირების შედეგად მიღებული შედეგი - 892,978 ლარი აღიარდა კაპიტალის მუხლში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქცია.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს და სხვა დაკავშირებულ მხარეებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა	2,146,876	1,184,098
გაცემული სესხები	სხვა	10,585,405	4,475,346
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა	9,626,974	11,892,418
მიღებული სესხები	სხვა	1,491,196	-

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	2024	2023
ამონაგები	სხვა	3,037,219	2,804,481
იჯარის ხარჯები	სხვა	(1,611,509)	(364,966)
სხვა ხარჯები	სხვა	(816,418)	(329,613)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	სხვა	(508,893)	(378,456)
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(451,290)	(404,736)

2024 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 276,783 ლარის ღირებულების მარაგი და 209,828 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ასევე, განახორციელა დაკავშირებულ მხარეებზე 299,510 ლარის ოდენობის ნარჩენი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების რეალიზაცია 326,286 ლარად. მოგება გაყიდვიდან აღიარდა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის მუხლში.

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 4,020,263 ლარის ღირებულების მარაგი, 16,597,474 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და 1,133,439 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები. აქედან, საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში შეიძინა 1,439,113 ლარის ღირებულების მარაგი, 16,567,114 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და 1,133,439 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები. ასევე, განახორციელა დაკავშირებულ მხარეებზე 610,413 ლარის ოდენობის საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების რეალიზაცია 677,677 ლარად. მოგება გაყიდვიდან აღიარდა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის მუხლში.

2024 წელს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების, სავაჭრო ვალდებულებისა და მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი 107,809 ლარის ოდენობით ასახულია კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქცია.

2023 წელს დაკავშირებულ მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო ვალდებულებისა და მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი 2,981,043 ლარის ოდენობით ასახულია კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქცია.

19. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე.

საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს იჯარით აღებული ფართები საოპერაციო საქმიანობისთვის. იჯარები არის საოპერაციო და მათი ვადაა 1-დან 30 წლამდე. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შემდეგი სახელშეკრულებო ვალდებულებები საოპერაციო იჯარებისთვის:

	31.12.2024	31.12.2023
1 წლამდე	6,954,082	6,470,428
1-დან 5 წლამდე	18,031,710	21,612,402
5 წელზე მეტი	28,726,474	29,923,329

ცხრილში მოცემული სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულება 10,221,792 ლარის ოდენობით (2023: 11,399,455 ლარი).

QIOR-ის ლიცენზია

კომპანიამ QIOR-ისგან მიიღო (QUALITY IS OUR RECIPE, LLC) ლიცენზია. ლიცენზიის განახლების უფლება კომპანიას აქვს საწყისი 20 წლის ვადის გასვლის შემდეგ, დამატებითი 10 წლის ვადით, თუ დააკმაყოფილებს ისეთ პირობებს, როგორიცაა:

- განახლება უნდა მოითხოვოს ლიცენზიის საწყისი ვადის ამოწურვამდე 12-დან 18 თვემდე;
- გადაიხადოს ლიცენზიის მომსახურების საფასურის 50%;
- QIOR-ის მიერ მითითებულ ვადაში განახლოს რესტორანი, მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად;
- ლიცენზიის მიმღებსა და მასთან აფილირებულ პირებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება QIOR-ის მიმართ, მათ შორის საოპერაციო სტანდარტები, რომლებიც გაწერილია ხელშეკრულებით;
- ლიცენზიის მიმღებმა უნდა წარადგინოს შესაბამის ლოკაციაზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა.

„ვენდის გლობალ რესტორანსა“ (QUALITY IS OUR RECIPE, LLC) და შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“ შორის გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულების გარანტორს წარმოადგენენ კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები, სამსონ და ლევან ფხაკაძეები. გარანტიის მაქსიმალური ღირებულება („Liability Cap“) შეადგენს 20 მილიონ აშშ დოლარს.

სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები

ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტის მიმართ არსებული ვალდებულებების ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტი იღებს ვალდებულებას რომ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, კლიენტის DSCR/ზანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1.2;
- კლიენტი იღებს ვალდებულებას, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, კლიენტის DEBT/ფულადი ვალდებულება შეფარდებული კლიენტის EBITDA-სთან იქნება არაუმეტეს 3.5;
- კლიენტი იღებს ვალდებულებას, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, კლიენტის ICR/პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 3;
- კლიენტი იღებს ვალდებულებას, რომ კლიენტის DEBT/ფულადი ვალდებულება შეფარდებული კლიენტის EQUITY-სთან 2023 წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს იქნება არაუმეტეს 3.3; ხოლო 2024 წლის შემდეგ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, იქნება არაუმეტეს 2;
- კლიენტი იღებს ვალდებულებას, რომ კლიენტის Current assets/მიმდინარე აქტივები შეფარდებული კლიენტის Current liabilities/მიმდინარე ვალდებულებებთან 2023 წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს იქნება არანაკლებ 0.8; ხოლო 2024 წლის შემდეგ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, იქნება არანაკლებ 1.1;

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

- კლიენტი ვალდებულია სახელფასო პროგრამით მომსახურების 100% აწარმოოს ბანკის მეშვეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ, წლიური - 2%-ით გაზარდოს, გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ყველა/ნებისმიერი საკრედიტო/საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით განსაზღვრული ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის ოდენობა. ამასთან, ათვისებულ კრედიტის თანხაზე შეცვლილი საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარემოების დადგომის მომდევნო თვიდან, თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან/და მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილს, რასთან დაკავშირებითაც თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიამ მოიპოვა ბანკისგან წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ არსებული დარღვევების გამო, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამსესხებელი არ ითხოვს და წერილის გაცემიდან 1 წლის განმავლობაში არ მოითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, წერილში აღნიშნულია, რომ ბანკი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენებაზე თუ დარღვევები არ აღმოფხვრება მომდევნო წლის 1 იანვრის შემდგომ.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები არის უზრუნველყოფილი მესამე მხარეების მიერ თავდებობებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არ მომხდარა ნაშთების კორექტირება არარსებითობიდან გამომდინარე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს თავისი დაკავშირებული მხარეების შპს „დან ჯორჯიას“ და შპს „ვიენდის“ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „დან ჯორჯიას“ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხზე). 2024 წლის 31 დეკემბრით აღნიშნული სესხების თანხა შეადგენს 11,051,739 ლარს და 9,783,632 ლარს, შესაბამისად (2023: 12,460,453 ლარი). თანამსესხებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „დან ჯორჯია“ და შპს „ვიენდი“ ვერ უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული, გადაიხადოს სესხის თანხა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოეჩნება მატერიალური დანაკარგი.

სახელმწიფო გრანტი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული აქვს ფინანსური ინსტიტუტისგან სესხი, რომელიც გაცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365-ე დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“, უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის თანადაფინანსებისა და საგარანტიო მიმართულების შესაბამისად. მიღებული თანადაფინანსების სანაცვლოდ კომპანიას აქვს შესასრულებელი ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრულია ზემოთ მითითებულ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში.

სახელმწიფო გრანტი ითვალისწინებს სესხით სარგებლობის პერიოდში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას. 2024 და 2023 წლების მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სრულად დაკმაყოფილებული მოთხოვნილი პირობები, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების თანხები აღიარებულია, როგორც გადავადებული შემოსავალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სს ვენჯორჯიაზე გაცემული სესხის და სს ვენჯორჯიას მიმართ არსებული ვალდებულების გაქვითვა

2025 წლის 1 იანვარს შეთანხმების საფუძველზე მოხდა სს ვენჯორჯიას მიმართ არსებული სავაჭრო ვალდებულების ნაწილის და სს ვენჯორჯიას მიმართ გაცემული სესხის ურთიერთგაქვითვა. აღნიშნული თარიღის მდგომარეობით სესხის ძირის თანხა შეადგენდა 1,410,495 ევროს, ხოლო გადასახდელი პროცენტის თანხა - 161,445 ევროს.

ძირითადი საშუალებების რეალიზაცია

2025 წლის 15 აპრილს კომპანიამ შპს მკ დეველოპმენტს მიჰყიდა 14,839,936 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (სამი მიწის ნაკვეთი, მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით). შემოსავალმა რეალიზაციიდან შეადგინა 14,700,000 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე.

რეალიზაციის შემდეგ, კომპანიამ თითოეული ფართი იქირავა 10 წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით.

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეების ბანკის სესხების დაფარვა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებს დაუფარა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები, შპს დან ჯორჯიას - 10,177,814 ლარის, ხოლო შპს ვიენდის - 600,176 ლარის ოდენობით, სანაცვლოდ კომპანიას წარმოექმნა სასესხო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ.

სესხების მიღება

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, კომპანიამ სს „საქართველოს ბანკთან“ არსებული გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში მიიღო:

- 35,867,007 ლარის ოდენობის გრძელვადიანი სესხები. მიღებული სესხების ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი კომპანიამ უნდა დაფაროს 2026 წლის 21 იანვრიდან 2034 წლის 14 მარტამდე პერიოდში. აღნიშნული სესხიდან 2025 წელს კომპანიამ დაფარა 9,571,219 ლარი.

ასევე, 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო სესხები დაკავშირებული მხარეებისგან:

- 7 თებერვალს 300,000 ლარის ოდენობის სესხი სს "სმარტ რითეილისგან", მიღებული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი კომპანიამ უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2025 წლის 10 თებერვლისა. 2025 წელს კომპანიამ დაფარა 300,000 ლარი.
- 15 აპრილს 8,240,000 ლარის ოდენობის სესხი სს "ვიენდისგან", მიღებული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი კომპანიამ უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა. 2025 წელს კომპანიამ დაფარა 233,000 ლარი.

სესხების გაცემა

2023 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ შპს "საბჟორჯიაზე" გასცა სესხი 3,052,000 ლარის ოდენობით. გაცემული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა. საანგარიშგებო თარიღის შემდგომ აღნიშნული სესხიდან დაიფარა 733,000 ლარი.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, შპს დან ჯორჯიასთან გაფორმებული 10,000,000 ლარის საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ გასცა გრძელვადიანი სესხი 6,022,649 ლარის ოდენობით. მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში 2025 წელს კომპანიამ მიიღო 1,357,000 ლარის ოდენობით სასესხო მოთხოვნა.

2025 წლის 14 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ შპს "დან ჯორჯიაზე" გასცა სესხი 8,149,044 ლარის ოდენობით. გაცემული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.

2025 წლის 15 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ შპს "ველაჯიოზე" გასცა სესხი 10,238,105 ლარის ოდენობით. გაცემული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2026 წლის 15 აპრილისა.

**მმართველობის ანგარიშგება
შპს ვ-ჯეო რესტორნები
2024**

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა	31
განვითარების გეგმები	32
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	32
კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	34
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	34
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	34
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	34
ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	34

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“ (შემდგომში კომპანია) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (რეგ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 20/07/2020 წელს).

საზოგადოების პარტნიორები არიან:

- ლევან ფხაკაძე - 50%;
- სამსონ ფხაკაძე - 50%

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია პარტნიორთა კრება, დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სწრაფი კვების ობიექტების (რესტორნებისა და კაფეების) მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია;
- საკვები პროდუქტების წარმოება და მათი საცალო რეალიზაცია;
- მოძრავი ქონების იჯარით გაცემა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ვ-ჯეო რესტორნები ფლობს შემდეგ მოქმედ ობიექტებს:

1. ვენდი'ს გელოვანის გამზირი
2. ვენდი'ს გლდანის ხიდები;
3. ვენდი'ს მტკვრის მარჯვენა სანაპირო;
4. ვენდი'ს თბილისის აეროპორტი;
5. ვენდი'ს სითი მოლი;
6. ვენდი'ს დოლიძე;
7. ვენდი'ს ვაკე;
8. ვენდი'ს 13კმ;
9. ვენდი'ს თბილისი მოლი
10. ვენდი'ს ისტ პოინტი;
11. ვენდი'ს გალერეა თბილისი;
12. ვენდი'ს გორი;
13. ვენდი'ს არგვეთა;
14. ვენდი'ს არგვეთა 2;
15. ვენდი'ს ქუთაისი;
16. ვენდი'ს ბათუმი;
17. ვენდი'ს ბათუმი მეტროსითი;

2024 წლის ბოლოსთვის კომპანია ახორციელებდა 17 ერთეული საცალო კვების ობიექტის ოპერირებას.

2024 წლის ბოლოსთვის დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა შპს ვ-ჯეო რესტორნებში შეადგენდა 782 ადამიანს, ხოლო 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით 865 თანამშრომელს.

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმების მიხედვით, 2025 წელს დაგეგმილი აქვს ახალი ლოიალობის აპლიკაციის წარდგენა მომხმარებლებისათვის.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს წმინდა მოგება შეადგინა 2,975,257 ლარი, განსხვავებით 2023 წლის (1,869,369) ლარის ზარალისა. კომპანიის ამონაგები 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 44,007,926 ლარით. აღნიშნული მკვეთრი ზრდა დიდწილად უკავშირდება 2023 წელს სს ვენჯორჯიას მიერ შპს ვ-ჯეო რესტორნებისთვის ბრენდული რესტორნების გადაცემას.

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2024 წელს შეადგინა 0.66 ხოლო 2023 წელს 0.86-ი. აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია, რაც ძირითადად გამოწვეულია წინა პერიოდთან შედარებით მიმდინარე ვალდებულებების ზრდით.

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	2024	2023
ამონაგები	79,093,196	35,085,270
სხვა შემოსავალი	38,776	18,436
მარაგის ხარჯი	(33,703,646)	(16,749,378)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(13,412,870)	(7,230,111)
იჯარის ხარჯები	(6,153,122)	(3,151,063)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,434,030)	(1,592,347)
როიალტის ხარჯი	(3,248,579)	(1,379,199)
სხვა ხარჯები	(12,552,097)	(5,033,010)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	7,627,628	(31,402)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(4,377,416)	(1,549,122)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(274,955)	(288,844)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2,975,257	(1,869,368)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ხარჯი)	2,975,257	(1,869,368)

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	25,418,718	26,807,359
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	367,859	47,318
არამატერიალური აქტივები	1,500,067	1,562,916
გაცემული სესხები	5,960,365	177,378
	33,247,009	28,594,971
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	4,889,535	5,170,679
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,975,668	2,341,404
გაცემული სესხები	4,625,040	4,297,968
ფული და ფულის ეკვივალენტები	278,852	503,729
	12,769,095	12,313,780
სულ აქტივები	46,016,104	40,908,751
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	312	312
გაუნაწილებელი მოგება	3,684,417	601,351
	3,684,729	601,663
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	11,074,166
მიღებული სესხები	20,935,826	12,902,634
გადავადებული შემოსავალი	2,069,209	2,069,209
	23,005,035	26,046,009
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,214,326	6,005,887
საგადასახადო ვალდებულებები	804,903	891,056
მიღებული სესხები	3,307,111	7,364,136
	19,326,340	14,261,079
სულ ვალდებულებები	42,331,375	40,307,088
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	46,016,104	40,908,751

სხვა ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას 2024 და 2023 წლების განმავლობაში არ ჩატარებია კვლევისა და განვითარების სფეროში ღონისძიებები.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2024 და 2023 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც შპს ვ-ჯეო რესტორნებს გააჩნია კლიენტებისადმი. კომპანიის მომხმარებლებს, ნორმალური საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ძირითადად საცალო მომხმარებლები და გარკვეულწილად კორპორატიული მომხმარებლები.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კვების ინდუსტრიის კაფე-რესტორნების კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კაფე-რესტორნების ბიზნესი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული კვების ობიექტები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო, მომსახურების ხარისხის და პროდუქციის ხარისხის სეგმენტში ბრენდულ ობიექტებთან მიმართებაში, ხოლო მომსახურების ხარისხით (ობიექტის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, მაღალი ცნობადობა) სეგმენტში არაბრენდულ რესტორნებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანია გენერალური დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის, ფინანსური დირექტორის და ოპერაციების დირექტორის შემადგენლობით, მუდმივად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, ახალ პროდუქტებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს ვენდისის პროდუქტების შეძენა.

- **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული მოკლევადიანი სესხების გამო. კომპანია გეგმავს აღნიშნული მოკლევადიანი სესხები გახადოს გრძელვადიან სესხებად, რაც გააუმჯობესებს ლიკვიდობას.

კომპანიამ დაიწყო თავისი ფულადი სახსრების უფრო აქტიური მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც მენეჯმენტის აზრით უფრო ეფექტურს გახდის ლიკვიდურობის კონტროლს.

შპს „გ-ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

• საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების კონტროლი და მონიტორინგი, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას.

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Wendy's International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

• საბაზრო და სავალუტო რისკები

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიის მომწოდებლების ნაწილთან ანგარიშსწორება ხდება აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჩუბინიძე

შპს „ჯეო რესტორნები“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

• საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების კონტროლი და მონიტორინგი, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას.

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Wendy's International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

• საბაზრო და სავალუტო რისკები

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიის მომწოდებლების ნაწილთან ანგარიშსწორება ხდება აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჩუბინიძე